ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს

2020 წლის 7 სექტემბრის სხდომის

ოქმი # 6

სხდომას ესწრებოდა: სიითი შემადგენლობის 34 წევრიდან – 21.

დღის წესრიგი:

1. ცვლილებები სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კურიკულუმში

   მომხს: თ. დოლბაია
2. სამაგისტრო პროგრამის „სახელმწიფო მართვა და საჯარო პოლიტიკა“ ხელმძღვანელის შეცვლა

   მომხს: თ. დოლბაია
3. ეროვნული გამოცდების გარეშე ჩასარიცხ პირთათვის საბუთების მიღების ვადის გაგრძელება

   მომხს: თ. დოლბაია
4. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2020-2021 სასწავლო წლისათვის დოქტორანტურაში ჩარიცხულ სტუდენტთა სწავლის გადასახადის განსაზღვრის შესახებ

   მომხს: თ. დოლბაია
5. 2020-2021 სასწავლო წელს სწავლა-სწავლების ფორმატის შესახებ

   მომხს: თ. დოლბაია

მოისმინეს: 1. ცვლილებები სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კურიკულუმში დამსწრეთ გააცნო ფაკულტეტის დეკანმა თამარ დოლბაიამ

აზრი გამოთქვეს: მ. შამილიშვილმა, ზ. დავითაშვილმა, გ. გოგსაძემ, თ. მატარაძემ და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს ცვლილებები სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კურიკულუმში (ოქმს თან ერთვის)

მოისმინეს: 2. ფაკულტეტის დეკანმა თ. დოლბაიამ დასწრეთ გააცნო სამაგისტრო პროგრამის „სახელმწიფო მართვა და საჯარო პოლიტიკა" ხელმძღვანელის, ნ. მაჭარაშვილის განცხადება, მისი სამსახურიდან წასვლის შესახებ და დღის წესრიგში დააყენა პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნის საკითხი

აზრი გამოთქვეს: გ. გოგსაძემ, მ. მაცაბერიძემ, ა. კუხიანიძემ და სხვ.

დაადგინეს: სამაგისტრო პროგრამის „„სახელმწიფო მართვა და საჯარო პოლიტიკა" ხელმძღვანელად დაინიშნოს სალომე დუნდუა, რომელიც ა. კუხიანიძესთან ერთად უხელმძღვანელებს პროგრამას

მოისმინეს: 3. ეროვნული გამოცდების გარეშე ჩასარიცხ პირთათვის საბუთების მიღების ვადის გაგრძელების შესახებ ისაუბრა თ. დოლბაიამ

აზრი გამოთქვეს: ზ. დავითაშვილმა, გ. გოგსაძემ, ვ. მელიქიძემ და სხვ.

დაადგინეს: ეროვნული გამოცდების გარეშე ჩასარიცხ პირთათვის საბუთების მიღების დამატებით ვადად განისაზღვროს 7 – 14 სექტემბერი

მოისმინეს: 4. 2020-2021 სასწავლო წლისათვის დოქტორანტურაში სწავლის გადასახადის განსაზღვრის აუცილებლობის შესახებ ისაუბრა თ. დოლბაიამ

აზრი გამოთქვეს: გ. გოგსაძემ, ნ. ჭალაგანიძემ, ნ. პავლიაშვილმა და სხვ.

დაადგინეს: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2020-2021 სასწავლო წლისათვის დოქტორანტურაში ჩარიცხულ სტუდენტთა სწავლის გადასახადი განისაზღვროს 500 ლარის ოდენობით სემესტრში. ეს თანხა გავრცელდეს დამატებითი სემესტრის სტუდენტებზეც.

მოისმინეს: ფაკულტეტის დეკანის ინფორმაცია ახალ სასწავლო წელს სწავლების ფორმატის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: გ. გოგსაძემ, მ. შამილიშვილმა, მ. წერეთელმა, ხ. მაისაშვილმა, თ. მატარაძემ და სხვ.

დაადგინეს:

1. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2020-2021 სასწავლო წელს „ჰიბრიდული“ სწავლების პროცესი წარიმართება e-learning აკადემიურ პლატფორმაზე, „პირისპირ“ და/ან ZOOM - ში;
2. ეპიდემოილოგიური სიტუაციის გათვალისწინებით, შუალედური და დასკვნითი გამოცდები ჩატარდება საგამოცდო ცენტრში.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: თ. დოლბაია, ასოცირებული პროფესორი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი: მ. შამილიშვილი, ასოცირებული პროფესორი

დანართი #1

საბჭოს წევრები

07.09.2020

1. თამარ დოლბაია
2. თეონა მატარაძე
3. მალხაზ მაცაბერიძე
4. ვალერიან მელიქიძე
5. ზურაბ დავითაშვილი
6. ნინო პავლიაშვილი
7. ნანა ტალახაძე
8. ნინო ჭალაგანანიძე
9. მანანა შამილიშვილი
10. მარი წერეთელი
11. ელენე ბებერაშვილი
12. შაკო ლაშხია
13. ალექსანდრე გაბაშვილი
14. ზურაბ აბაშიძე
15. ხათუნა მაისაშვილი
16. ალექსანდრე კუხიანიძე
17. გიორგი გოგსაძე
18. მარიამ ბერიანიძე
19. სალომე დუნდუა
20. თამარ მახარაძე
21. რატი ხითარიძე

დანართი #2

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

დეკანს **თამარ დოლბაიას**

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის

რევაზ ჯორბენაძის

მიმართვა

ქალბატონო თამარ,

წარმოგიდგენთ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე (7 სექტემბერი, 2020 წელი) გასატან საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში განხორციელებულ ცვლილებებს.

კერძოდ:

საბაკალავრო პროგრამები:

საგანმანათლებლო პროგრამა „პოლიტიკის მეცნიერება“ (დადგენილება #137/2015, დანართი 36).

1. **ლექტორის დამატება -**

- „საჯარო პოლიტიკა“ - ერთჯერადად შემოდგომის სემესტრში დაემატა მოწვეული ლექტორი - გიორგი მელიქიძე.

2. **პროგრამასთან შესაბამისობაში მოყვანა -**

- „მსოფლიო პოლიტიკა“ – 30/15 ნაცვლად გახდა 15/30, ლექტორი პროფესორი კ.კაკაჩია.

საბაკალავრო პროგრამა „ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია“ (დადგენილება #57/2011, დანართი 34)

1. **სასწავლო კურსის დამატება:**

- „სატელევიზიო პროექტის მომზადების ეტაპები (პრეპროდუქცია) ტელედოკუმენტალისტიკა პრაკტიკუმისთვის“ - არჩევითი, მოწვეული პედაგოგი ნათია რაჭველიშვილი. 5 კრედიტი, (15/15).
- „საზოგადოებასთან ურთიერთობა და ამბის თხრობა“ - არჩევითი, მოწვეული ლექტორი დავით გორგილაძე, 5 კრედიტი, (15/15).

2. **სემესტრის ცვლილება:**

- „მობილური ჟურნალისტიკა“ - არჩევითი, ლექტორი ასოცირებული პროფესორი მაია ტორაძე, 5 კრედიტი, (15/15). გაზაფხულის სემესტრი ნაცვლად შემოდგომისა.

საფაკულტეტო საგანი - „აკადემიური წერა“ - ლექტორების ცვლილება:

შევიდეს ცვლილება „აკადემიური წერის“ სილაბუსში და ლექტორებად განისაზღვრონ:

თამარ ვეფხვაძე, ნათია სვანიძე, ლელა წიქარიშვილი, თინათინ მაჭარაშვილი, მირანდა გიორგაშვილი, მირანდა აბრამიშვილი, მარიამ კვერღელაძე

სამაგისტრო პროგრამები:

სამაგისტრო პროგრამაში „პოლიტიკის მეცნიერება“ (დადგენილება 2011 №57, დანართი 63)

1. **ლექტორის დამატება:**

   - „პოლიტიკის მეცნიერება: ახალი მიმართულებები და პერსპექტივები“ - ერთჯერადად შემოდგომის სემესტრში დაემატა მოწვეული ლექტორი ნინო მაისურაძე.

2. **სემესტრის ცვლილება და ლექტორის დამატება:**

- „ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესი საქართველოში“ - ერთჯერადად შემოდგომის სემესტრში დაემატა მოწვეული ლექტორი - თინა ცხოვრებაძე .

სამაგისტრო პროგრამა „ სახელმწიფო მართვა და საჯარო პოლიტიკა“ (დადგენილება N დანართი)

1. **ლექტორის დამატება;**
   - „საჯარო ადმინისტრირების თეორია და პრაქტიკა“ - ერთჯერადად შემოდგომის სემესტრში დაემატა მოწვეული ლექტორი გიორგი მელიქიძე;
   - „ლიდერობა საჯარო ადმინისტრირებაში“ - ერთჯერადად შემოდგომის სემესტრში დაემატა მოწვეული ლექტორი გიორგი მელიქიძე;
   - „სამაგისტრო კვლევის დიზაინი“ - ერთჯერადად შემოდგომის სემესტრში წაიკითხავს პროფესორი - ალექსანდრე კუხიანიძე და ერთჯერადად შემოდგომის სემესტრში დაემატა მოწვეული ლექტორი გიორგი მელიქიძე;
   - „რაოდენობრივი ანალიზის მეთოდი“ - ერთჯერადად დაემატა მოწვეული ლექტორი თამარ ჩხაიძე;
   - „საჯარო პოლიტიკის ანალიზი“ - ერთჯერადად შემოდგომის სემესტრში დაემატა მოწვეული ლექტორი თამუნია ჭინჭარაული;
   - ადამიანური რესურსების მართვა და საჯარო მმართველობა“ - ერთჯერადად შემოდგომის სემესტრში დაემატა თამთა ჭრიკიშვილი;
   - „პრაქტიკა“ - ერთჯერადად შემოდგომის სემესტრში დაემატა პროფესორი ალექსანდრე კუხიანიძე.
2. **პროგრამის ხელმძღვანელის ცვლილება;**
   - საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ნანა მაჭარაშვილი სხვა უნივერსიტეტში გადასვლის გამო საკუთარი განცხადებით ტოვებს თამამდებობას და პროგრამის თანახელმძღვანელის პოზიციას.

სამაგისტრო პროგრამა „ევრაზიის და კავკასიის კვლევები“ (დადგენილება# . დანართი)

1. **სემესტრის ცვლილება:**
   - „საერთაშორისო ურთიერთობის თეორიები“ – (სავალდებულო), შემოდგომის სემესტრი ნაცვლად გაზაფხულისა.
   - „ცენტრალური აზიის პოლიტიკა“ – (არჩევითი), შემოდგომის სემესტრი ნაცვლად გაზაფხულისა.
   - „საერთაშორისო ორგანიზაციები და ევროპული პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში“ - (არჩევითი), შემოდგომის სემესტრი ნაცვლად გაზაფხულისა.

2. **ლექტორის ცვლილება:**
   - „საერთაშორისო ურთიერთობის თეორიები“ – (სავალდებულო), ეკა აკობიას ნაცვლად წაიკითხავს კლარკ ვებერი;.
   - „ცენტრალური აზიის პოლიტიკა“ – (არჩევითი), სლავომირ ხორაკის და ფიქრია ასანიშვილის ნაცვლად წაიკითხავს კლარკ ვებერი;
   - „საერთაშორისო ორგანიზაციები და ევროპული პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში“ - (არჩევითი), ფიქრია ასანიშვილის და გიორგი მჭედლიშვილის ნაცვლად წაიკითხავს კლარკ ვებერი.

სამაგისტრო პროგრამა „ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება“ (დადგენილება # 57/2011, დანართი 258, ყოფილი დანართები 234 და 49):

1. **სილაბუსში ტექნიკური ხარვეზის გასწორება:**

   - „ბიოგრაფიკა“ - პროფესორი ნოდარ ბელქანია“

სამაგისტრო პროგრამა „დემოგრაფია და მოსახლეობის გეოგრაფია“ (დადგენილება # 42/2014, დანართი 219)

1. **სემესტრის ცვლილება:**
   - „დემოგრაფიული ანალიზი და მოდელირება 1“ გადაგის გაზაფხულის სემესტრში, ხოლო „დემოგრაფიული ანალიზი და მოდელირება 2“ - გამოდის შემოდგომის სემესტრში.

პატივისცემით,

რევაზ ჯორბენაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი